ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ

სტამბოლის კონვენცია

შიშისგან დაცული
ძალადობისაგან
დაცული

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

რა არის ამ კონვენციის მიზანი?

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ გახლავთ ყველაზე მრავლისმომცველი საერთაშორისო კონვენცია, რომელიც ებრძვის ადამიანის უფლებების ამ სერიოზულ დარღვევას. ეს კონვენცია მიზნად ისახავს ნულოვანი ტოლერანტობის მიღწევას ამგვარი ძალადობის მიმართ და მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ევროპისა და მის ფარგლებს მიღმა მდებარე ქვეყნებს უფრო უსაფრთხო ადგილად ქცევისათვის.

კონვენციის ქვაკუთხედია ისეთი საკითხები, როგორიცაა ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა და მოძალადეებზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. კონვენცია მოუწოდებს საზოგადოების ყველა წევრს, განსაკუთრებით მამაკაცებსა და ბიჭებს, შეცვალონ მათი დამოკიდებულება ძალადობის მიმართ და ამგვარად სათანადო ცვლილებები გამოიწვიონ თითოეული ადამიანის გულსა და გონებაში. არსებითად, ეს არის ხელახალი მოწოდება ქალებსა და მამაკაცებს შორის მეტი თანასწორობისაკენ, რამეთუ ქალთა მიმართ ძალადობას ღრმად აქვს გადგმული ფესვები საზოგადოებაში არსებულ ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობაში, და საზრდოობს შეუწყნარებლობით, ან კიდევ პრობლემის არსებობის უარყოფის ჩვეულებით.

კონვენციის განსაკუთრებული მახასიათებლები

კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობას აღიარებს ადამიანის უფლებების დარღვევად და დისკრიმინაციის ფორმად. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, თუ ისინი ამგვარ ძალადობაზე ადეკვატურ რეაგირებას არ მოახდენენ.

ეს გახლავთ პირველი საერთაშორისო კონვენცია, რომელშიც მოცემულია გენდერის განსაზღვრება. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალი და მამაკაცი არა მხოლოდ ბიოლოგიურად არიან მდედრობითი და მამრობითი სქესისა, არამედ ასევე განეკუთვნებიან სოციალურ კონსტრუქციაზე აგებულ გენდერის კატეგორიას, რომელიც ქალებისა და მამაკაცების კონკრეტულ როლებსა და ქცევის წესებს განსაზღვრავს. კვლევებმა აჩვენა, რომ გარკვეული როლებისა და ქცევების მიღებამ შესაძლოა ქალთა მიმართ ძალადობა დასაშვებ მოვლენად აქციოს.

კონვენცია სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ადგენს მთელი რიგი ისეთი მნიშვნელოვანი დანაშაულებისთვის, როგორიცაა ქალის გარეთა სასქესო ორგანოების "დაცვეთა", იძულებითი ქორწინება, დევნა (გადაკიდება/ აკვიატებული დევნა), იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს პირველად მოუწევთ ასეთი მნიშვნელოვანი დანაშაულების თავიანთ სამართლებრივ სისტემებში ასახვა.

კონვენცია სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჩართონ შესაბამისი სახელმწიფო უწყებები და სამსახურები, რათა ეს პრობლემა კოორდინირებული ძალისხმევით გადაიჭრას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უწყებები და არასამთავრობო ორგანიზაციები ცალ-ცალკე კი არ უნდა მუშაობდნენ, არამედ მათ თანამშრომლობის პროტოკოლები/მემორანდუმები უნდა შეიმუშაონ.

რის გაკეთებას სთხოვს კონვენცია სახელმწიფოებს?

პრევენცია

- შეცვალონ ის დამოკიდებულებები, გენდერული როლები და სტერეოტიპები, რომლებიც მისაღებს ხდის ქალთა მიმართ ძალადობას.
- მოამზადონ პროფესიონალები, რომლებიც იმუშავებენ მსხვერპლებთან;
- აამაღლონ საზოგადოების ცნობიერება ძალადობის სხვადასხვა ფორმებისა და ძალადობით გამოწვეული ტრავმების შესახებ;
- შეიტანონ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ სწავლება სასწავლო პროგრამაში, განათლების ყველა დონეზე;
- საზოგადოებასთან წვდომის მიზნით, დაიწყონ თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასა და კერძო სექტორთან.

დაცვა

- უპირველესად, უზრუნველყონ მსხვერპლთა საჭიროებებისა და უსაფრთხოების სრულად მხედველობაში მიღება კონვენციით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების გატარებისას;
- შექმნან სპეციალიზებული დახმარების სამსახურები, რომლებიც სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე ფსიქოლოგიურ და იურიდიულ კონსულტაციებს გაუწევენ მსხვერპლებსა და მათ შვილებს;
- შექმნან საკმარისი ოდენობის თავშესაფრები და გახსნან 24 საათიანი უფასო სატელეფონო დახმარების ხაზები.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა

- მოახდინონ ქალთა მიმართ ძალადობის კრიმინალიზაცია და უზრუნველყონ მსგავსი ქმედების ჩამდენთა სათანადო დასჯა;
- გამორიცხონ ძალადობის ნებისმიერი ფორმის გამართლება კულტურით, ტრადიციებით, რელიგიით ან ეგრეთ წოდებული "ღირსებით";
- უზრუნველყონ, რომ გამოძიებისა და სასამართლო პროცესის განმავლობაში მსხვერპლებს ხელი მიუწვდებოდეთ სპეციალურ დამცავ ღონისძიებებზე;
- უზრუნველყონ, რომ სამართალდამცავმა უწყებებმა მყისიერად უპასუხონ დახმარების თხოვნით შემოსულ ზარებს და ადეკვატურად მართონ საშიში სიტუაციები.

ინტეგრირებული პოლიტიკა

- უზრუნველყონ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ზომის ყოვლისმომცველი და კოორდინირებული პოლიტიკის ნაწილად ქცევა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ჩამოაყალიბონ ერთიანი მიდგომა.

ვის მოიცავს კონვენცია?

კონვენცია შეეხება ნებისმიერი წარმომავლობის ქალებსა და გოგონებს, მიუხედავად მათი ასაკისა, რასობრივი კუთვნილებისა, სოციალური წარმომავლობისა, მიგრანტის სტატუსის თუ სექსუალური ორიენტაციისა. კონვენცია აღიარებს, რომ არსებობს ქალთა და ბავშვთა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ძალადობის მსხვერპლად ქცევის უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან და სახელმწიფოებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მათი განსაკუთრებული საჭიროებანი. გარდა ამისა, სახელმწიფოებს მოვუწოდებთ, მიუსადაგონ კონვენცია ოჯახში ძალადობის ისეთ მსხვერპლებსაც, როგორებიც არიან კაცები, ბავშვები და ხანდაზმულები.

რომელ დანაშაულებს მოიცავს კონვენცია?

კონვენცია მოითხოვს, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის ან სხვა სამართლებრივი სანქციის ამოქმედების საფუძველი გახდეს ისეთი ქმედებები, როგორიცაა:

- ოჯახური ძალადობა (ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობა)
- დევნა (აკვიატებული დევნა/გადაკიდება);
- სექსუალური ძალადობა, გაუპატიურების ჩათვლით;
- სქესობრივი შევიწროება;
- იძულებითი ქორწინება;
- ქალის გენიტალიების "დაცვეთა";
- იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია.

კონვენცია მკაფიოდ აცხადებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა არ არის პირადი საქმე. პირიქით, იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ოჯახის შიგნით მომხდარ დანაშაულს ბევრად უფრო ძლიერი ტრავმის გამოწვევა შეუძლია, ამიტომ ამგვარი დანაშაულის ჩამდენს უფრო მკაცრი სასჯელი უნდა მიესაჯოს, როდესაც მსხვერპლი მისი მეუღლე, პარტნიორი ან ოჯახის წევრია.

როგორ ხორციელდება კონვენციის შესრულების მონიტორინგი?

კონვენცია, მისი დებულებების შესრულების შეფასების მიზნით, ქმნის მონიტორინგის მექანიზმს. მონიტორინგის მექანიზმი ორი ორგანოსაგან შედგება, ესენია: ექსპერტთა ჯგუფი ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ (GREVIO), რომელიც დამოუკიდებელ ექსპერტთაგან შემდგარი ორგანოა და მხარეთა კომიტეტი, რომელიც კონვენციის ხელშემკვრელი მხარე სახელმწიფოების ოფიციალური წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებულ პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენს. მათი დასკვნები და რეკომენდაციები სახელმწიფოებს დაეხმარება კონვენციის მოთხოვნების შესრულებაში, და ამ უკანასკნელის გრძელვადიანი ეფექტიანობის გარანტი იქნება.

www.coe.int/conventionviolence
conventionviolence@coe.int

Prems 094315

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრიცაა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE